ნინო ზამბახიძე

2012 წლიდან დღემდე საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარეა. 2008 წლიდან იყო შპს „ჯორჯიან ბიზნეს ზონის“ აღმასრულებელი დირექტორი, 2010 წელს კი რეგიონული განვითარების ასოციაცია დააფუძნა.

ნინო ეროვნული ბიზნეს დაჯილდოების – „მერკური 2011-ის“ მიერ „წლის ქალი მეწარმის“ საპატიო წოდებით დაჯილდოვდა. ის პირველი ქალი ლიდერია, რომელსაც 2012 წლიდან დღემდე ჰილარი კლინტონის პატრონაჟით მოქმედი ორგანიზაციის „მოახდინე ინვესტირება მომავალში“ ქვეყნის საპატიო კოორდინატორობა დაეკისრა. მიმდინარე წლის მარტში ნინო ზამბახიძე მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა (World Economic Forum) 2017 წლის გლობალურ ახალგაზრდა ლიდერად დასახელდა.

ნინო ბიზნესის ადმინისტრირებაში გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლის მაგისტრია. ამავე მიმართულებით არის კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო მაგისტრიც. 2016 წელს გრენობლის ეკონომიკურმა სკოლამ წლის მეწარმედ დაასახელა. მას ასევე გავლილი აქვს სტენფორდის უნივერსიტეტის ლიდერთა განვითარების აკადემიის კურსი „საჯარო პოლიტიკა კერძო სექტორის განვითარებაში“.